

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება
ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის მიერ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადგილობრივი
ტურისტული ბაზრის კვლევის მომსახურების შესყიდვის (ელექტრონული ვაჭრობის დაფარული
მონაცემებით, დამატებითი რაუნდების გარეშე) სატენდერო კომისიის სხდომის
ოქმი № 5-1

18 ივნისი 2021 წელი

ქ. ბათუმი

სხდომას ესწრებოდნენ:

კომისიის წევრები:

კომისიის აპარატის წევრი:

დღის წესრიგი:

მოისმინეს:

აზრი გამოთქვას:

დაადგინეს:

თინათინ ზოიძე - კომისიის თავმჯდომარე, დეპარტამენტის
თავმჯდომარე;

თამარ კაიკაციშვილი - დეპარტამენტის თავმჯდომარის პირველი
მოადგილე, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.

ლენა ჩაჩუა - საფინანსო-საბუღალტრო სამსახურის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის უფროსი, კომისიის წევრი.

ლეილა დავითაძე - სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის
პირველადი სტრუქტურული ერთეულის უფროსი, კომისიის
წევრი, ასევე კომისიის აპარატის წევრი.

ნინო მიქელაძე - სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის მეორე
კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, კომისიის აპარატის წევრი.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს
საქვეუწყებო დაწესებულება ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის მიერ
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადგილობრივი ტურისტული ბაზრის
კვლევის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით სატენდერო
დოკუმენტაციის დამტკიცება.


1. ლეილა დავითაძის ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ სახელმწიფო
შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, აჭარის ავტონომიური
რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო
დაწესებულება ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის მიერ აჭარის
ავტონომიური რესპუბლიკის ადგილობრივი ტურისტული ბაზრის კვლევის
მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა უნდა განხორციელდეს ელექტრონული
ტენდერის (ელექტრონული ვაჭრობის დაფარული მონაცემებით, დამატებითი
რაუნდების გარეშე) გზით. შესაბამისად საჭიროა კომისიის მიერ მოხდეს
სატენდერო დოკუმენტაციის დამტკიცება.

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადგილობრივი ტურისტული ბაზრის
კვლევის მომსახურების შესყიდვა უნდა განხორციელდეს აჭარის ავტონომიური
რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის 2021 წლის
სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის შესაბამისად.

კომისიის წევრებმა, რომლებმაც მხარი დაუჭირეს აღნიშნული შესყიდვის
განხორციელების მიზნით ელექტრონული ტენდერის (ელექტრონული
ვაჭრობის დაფარული მონაცემებით, დამატებითი რაუნდების გარეშე)
გამოცხადებას.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს
საქვეუწყებო დაწესებულება ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის მიერ
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადგილობრივი ტურისტული ბაზრის
კვლევის მომსახურების შესყიდვის სატენდერო დოკუმენტაციის დამტკიცება.

კომისიის თავმჯდომარე:  /თ. ზოიძე/

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე:  /თ. კაიკაციშვილი/

კომისიის წევრები:  /ლ. ჩაჩუა/

 /ლ. დავითაძე/

კომისიის აპარატის წევრი:  /ნ. მიქელაძე/